რაულ ქირია[1]

უკრაინისა და საქართველოს დასავლური ვექტორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობებში შექმნილი კრიზისი. ნაშრომში ხაზგასმულია თბილისსა და კიევს შორის ურთიერთობების გაუარესების მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას არ აქვს საზღვარი და საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი ფაქტორი, რომელმაც თავის დროზე ქვეყნები გააერთიანა, საქართველოსა და უკრაინას შორის პოზიტიური ურთიერთობა 1990-იანი წლებიდანვე თვალსაჩინო იყო. პოზიტიური ურთიერთობების განვითარება რუსეთისგან უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების სურვილის შედეგი იყო, ისევე როგორც დასავლურ ინსტიტუტებთან, როგორიც არის ევროკავშირი და ნატო, რამაც ქვეყნების მეგობრობა სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაზარდა.

სტატიაში, ასევე, საუბარია საქართველოსა და უკრაინის სამხედრო თანამშრომლობაზე; უკრაინელი მოხალისეების მონაწილეობა აფხაზეთის ომში და პირიქით – ქართველი მოხალისეების სამხედრო ჩართულობა უკრაინულ „ანტიტერორისტულ ოპერაციებში“ ლუჰანსკსა და დონეცკში. გარდა ამისა, კვლევაში ხაზგასმულია, რომ ურთიერთობაში დაძაბულობის მიზეზი რუსეთის ფაქტორი იყო. საქართველოს მთავრობამ არ გაამძაფრა რუსეთთან ისედაც მკაცრი ურთიერთობები და თავისი ზედმეტად დიპლომატიური განცხადებებით განსაკუთრებული კვალი დატოვა უკრაინასთან დღემდე გაგრძელებულ თანამშრომლობის ხარისხზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, უკრაინა, რუსეთი, დასავლეთი, გეოპოლიტიკა

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა დინამიურად განვითარდა. 1991 წლიდან საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობა აღმავალი ტენდენციით მიმდინარეობდა და სულ უფრო მყარდებოდა. დიპლომატიური ურთიერთობები დაიწყო 1992 წელს, ხოლო 1993 წელს კიევში ოფიციალური ვიზიტის დროს საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა უკრაინა-საქართველოს შორის ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

შემდგომში, ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც დასტურდებოდა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პარტნიორობით. უკრაინასა და საქართველოს შორის მჭიდრო თანამშრომლობა შედგება მრავალი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებისგან და არეგულირებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და უკრაინას შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც იურიდიულად რეგულირდება როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში (მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, სუამი).

ამ სტატაიში ჩვენი მიზანია, ვუპასუხოთ ორ კითხვას: რითი არის განპირობებული საბჭოთა პერიოდის ბოლოდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობა და სტრატეგიული პარტნიორობა და რამ გამოიწვია მათ შორის ურთიერთობების დაძაბვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სტატია სამ ეტაპად წარმოვადგინეთ. სტატიის პირველ ნაწილში

[1] რაულ ქირია – ლექტორი ევროპის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ელექტრონული ფოსტა: raulkiria@gmail.com

მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობების ისტორიულ კონტურებს. შემდეგ თავებში განვიხილავთ ამ ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპებს. დასკვნით ნაწილში შევაჯამებთ ორი ქვეყნის ევროინტეგრაციის პერსპექტივებსა და აღნიშნულ გზაზე არსებულ პრობლემებს.

საქართველო-უკრაინის ურთიერთობების დასაწყისი და საქართველოს პირველი ელჩი უკრაინაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იქნება მას „განახლების“ ახალი ფორმატი ვუწოდოთ, რადგან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

ამ ორ ქვეყანას ისტორიულად ბევრი საერთო აქვს. შუა საუკუნეებში უკრაინა აღმოსავლეთ სლავური კულტურის ცენტრი იყო და მას კიევის რუსეთი ეწოდებოდა. თუმცა მე-13 საუკუნიდან, საქართველოს მსგავსად, ხელიდან ხელში გადადიოდა. ქვეყანა ჯერ მონღოლთა ურდოებმა გაანადგურეს, შემდეგ ლიტვამ, პოლონეთმა, ოსმალეთმა, ავსტრია-უნგრეთმა და რუსეთმა გაიყვეს. მე-17 საუკუნეში აქ დაარსდა კაზაკთა სახელმწიფო. უკრაინა კვლავ გააერთიანა რუსეთმა მე-20 საუკუნეში, როგორც უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ჩვენ არ შევჩერდებით საქართველოს ისტორიის პარალელურ მომენტებზე, მაგრამ ზემოაღნიშნულიდან უკვე ნათელია, რატომ არის ამ ორი ქვეყნის მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ ასეთი ნათელი და გამაერთიანებელი.

ორი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ პირველი ცნობები მე-18 საუკუნიდან გვაქვს, ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან, რომელიც 1760 წელს უკრაინაში, კერძოდ, მირგოროდში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. დავით გურამიშვილის „დავითიანი“ უკრაინაში შეიქმნა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1913 წელს, მეუღლესთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა, რომელიც ავადმყოფობის გამო აქვე მალევე გარდაიცვალა.

ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების დოკუმენტები ორივე ქვეყნის არქივშია შენახული, მათ შორის არის, უკრაინის ცენტრალური რადას 1917 წლის 7 ნოემბერს გამოცხადებული დამოუკიდებლობის ბრძანებულება, ასევე, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი და ა.შ. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში, ვიქტორ თევზაია გაგზავნეს უკრაინის რესპუბლიკაში და ერთი თვის შემდეგ დანიშნა პირველ ელჩად კიევში.

თუ ორი ქვეყნის ურთიერთობის დასაწყისს რომანტიკულ პერიოდად დავახასიათებთ, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის და შემდეგ საბჭოთა კავშირის დროს არის ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. 1942 წელს სტეპან ბანდერამ მოუწოდა ქართველ ხალხს გაერთიანებულიყვნენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეროვნულ-განმათავისუფლებელ საქმეში. 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის დროს ქვეყნიდან გაქცეული ბევრი ქართველი პოლონეთში დასახლდა. ბევრმა მათგანმა მიიღო სამხედრო განათლება, გადავიდა უკრაინის ტერიტორიაზე და შეუერთდა უკრაინის მეამბოხე ჯარს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

1989 წელს საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ჩაატარა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის სხვა ფორმით შენარჩუნების შესახებ, რომელშიც უკრაინა მონაწილეობდა, ხოლო საქართველო არა. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს, ხოლო უკრაინამ-იმავე წლის 24 აგვისტოს. რამდენიმე თვის შემდეგ, 1991 წლის 25 დეკემბერს, შეერთებულმა შტატებმა აღიარა ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობა. სწორედ, ამის შემდეგ დაიწყო ორ ქვეყანას შორის ახალი დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წელს.

პოსტსაბჭოთა ეპოქა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ორივე ქვეყანა თვლიდა ერთმანეთს სტრატეგიულ პარტნიორებად, რის შემდეგაც დამყარდა მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ამ ორ ქვეყანას საერთო აქვთ სტრატეგიული განვითარების ევროპული ვექტორი. ეს გზა სიძნელეების მიუხედავად იკრებს ძალას. უკრაინას, ისევე როგორც საქართველოს, ევროკავშირი მიიჩნევს მნიშვნელოვან, მაგრამ რთულ პოლიტიკურ პარტნიორად. პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირს, საქართველოსა და უკრაინას შორის 1994 წელს დაიწყო, როდესაც ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). ეს დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებდა ეკონომიკური და სოციალური რეფორმების საჭიროებაზე. პოლიტიკური დისკუსიების ჩარჩო მოკრძალებული იყო. 1994 წლის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ძალაში შევიდა 1998 წელს. მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ერთი მხრივ უკრაინასა და საქართველოსა, მეორე მხრივ კი ევროკავშირს შორის 2008 წელს დაიწყო.

საქართველოსა და ევროპას შორის ასოცირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია 2014 წელს. შეთანხმების ხელმოწერის მცდელობა უკრაინაში 2014 წელს დაიწყო, მაგრამ იანუკოვიჩმა ბოლო წუთს უარი თქვა შეთანხმების ხელმოწერაზე. 2014 წლის 27 ივნისს, უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეკონომიკურ ნაწილს, რომელიც მას უწოდა "უკრაინის პირველი, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი ევროკავშირის წევრობისკენ". ამრიგად, მიუხედავად ყველაფრისა, 2017 წლის 1-ელ სექტემბერს საბოლოოდ დაიდო უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება. ამ შეთანხმების მიხედვით, საქართველოც და უკრაინაც შედიან ევროკავშირთან თანამშრომლობის და ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრაციისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში.

1990-იან წლებში უკრაინამ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწია საქართველოს და ბევრი ქართველი ოფიცერი (მათ შორის, საქართველოს მომავალი გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე) სწავლობდა უკრაინის თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარების აკადემიაში. 1997 წელს უკრაინამ საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა პირველი სრულად შეიარაღებული ხომალდი „გრიფი“. მხოლოდ ამ ნაბიჯის შემდეგ მიიღო საქართველომ მსგავსი დახმარება სხვა მეგობარი ქვეყნებისგან – გერმანიიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, მაგრამ უკრაინა პირველი იყო. გასაგებია, რომ ეს არ იყო მარტივი ნაბიჯი უკრაინის მხრიდან რუსული ფაქტორის გათვალისწინებით. უკრაინამ 1993 წელს საქართველოს ხორბალი ერთ მილიონ დოლარად შეღავათიანი სესხით გადმოსცა.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის კანონმდებლობა კრძალავდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ კონფლიქტებში მონაწილეობას, 1992-93 წლებში აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში 300-მდე უკრაინელი მოხალისე მონაწილეობდა საქართველოში. მათი ჩამოსვლა უკრაინის ეროვნულმა ასამბლეამ და უკრაინის ეროვნული თავდაცვის ორგანიზაციამ – იგივე ორგანიზაცია „უნა-უნსომ“ უზრუნველყო. „უნა-უნსო“-ს უფროსი მეთაური იური შუხევიჩი წერდა: „ჩვენი მთავარი მიზანი იყო, დაგვემტკიცებინა საქართველოსთვის, ისევე როგორც ჩეჩნეთისთვის, რომ ჩვენ დავიცავთ ყველა იმ ადამიანის თავისუფლებას, ვინც ცდილობს გათავისუფლდეს რუსეთის უღლისაგან. ასევე, გვინდოდა გვეჩვენებინა რუსეთისთვის, რომ თუ იგი უკრაინაში ცხვირის შეყოფას გადაწყვეტდა, მათი აგენტებისა და თანანამშრომლების გარდა, დახვდებოდნენ ძალები, რომლებიც მას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდნენ“.

ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა საქართველოში ვარდების რევოლუციისა და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ. ორივე ქვეყანას აქვს პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაცია და ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების ძლიერი სურვილი. პრეზიდენტების მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშჩენკოს მჭიდრო მეგობრობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობაში. 2007 წელს ქართველებმა თბილისში ტარას შევჩენკოს ძეგლი გახსნეს, ხოლო უკრაინელებმა კიევში ქართველი პოეტის-შოთა რუსთაველის ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს მათი გაწევრიანების წინადადება უარყოფილ იქნა, ნატო ბუქარესტის სამიტის დეკლარაციით დაჰპირდა, რომ ორი პოსტსაბჭოთა განმცხადებელი აუცილებლად გახდებოდა ალიანსის წევრი, თუმცა, არ უთქვამს როდის და როგორ მოხდებოდა ეს.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ხალხის მხარდაჭერა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს. აგვისტოს ომის შემდეგ კიევმა და თბილისმა ვაშინგტონთან ხელი მოაწერეს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას. 2009 წელს უკრაინა და საქართველო შეუერთდნენ ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამას აზერბაიჯანთან, სომხეთთან, მოლდოვასთან და ბელორუსთან. 2014 წლის ზაფხულში საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან.

2014 წლის გაზაფხულიდან ქართველები უკრაინელებს ყოვლისმომცველ დახმარებას უწევდნენ რუსეთთან დაპირისპირების დაძლევაში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქართველი პოლიტიკოსები უკრაინის სახელმწიფო სამსახურებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ. 2019 წლის 1-ელი მარტიდან მოყოლებული უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეებს ორივე ქვეყანაში მოგზაურობა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე შეუძლიათ. მანამდე, 2015 წელს, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, უკრაინის უდიდესი რეგიონის, ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა.

ურთიერთობებში დაძაბულობის მატება

2017 წლის მარტში უკრაინამ, რომელიც მაშინ გაეროს უშიშროების საბჭოს დროებითი წევრი იყო, მიიღო რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. საქართველო და უკრაინა, ასევე, ინარჩუნებენ სამხედრო კავშირებს. 2018 წელს საქართველომ და უკრაინამ მონაწილეობა მიიღეს ოპერაცია „ღირსეული პარტნიორი“-ში, ხოლო ქართველმა ჯარისკაცებმა და უკრაინელმა საზღვაო ქვეითებმა სწავლება ერთად ჩაატარეს.

მშვიდი, მაგრამ მაინც დისტანცირებული ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის კვლავ დაიძაბა უკრაინის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით. მეტიც, დღეს, უკრაინა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს პოლიტიკურ მხარდაჭერას. საქმე ეხება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თავშეკავებას უკრაინის ახლად გამოცხადებულ ავტოკეფალიაზე. საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხზე კომენტარისგანაც კი იკავებს თავს. ქართული ეკლესია ყოველთვის ცდილობდა პოზიციების განსაზღვრას არა პოლიტიკის, არამედ საეკლესიო კანონების საფუძველზე.

საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია უკრაინის ეკლესიასთან დაკავშირებით ზოგიერთმა შეაფასა, როგორც რუსეთის გავლენა. თუმცა, არსებობდა ორი მოსაზრება: ერთი (მუდმივი აგრესიული, თუ რადიკალური) თვლიდა, რომ ეს იყო რუსეთის ეკლესიის მოთხოვნის შედეგი და ქართული ეკლესიის რუსული ორიენტაციის გამოვლინება, მეორე კი, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას აღიქვამს რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონის აფხაზეთის ეკლესიის აღიარების საფრთხედ.

საქართველოს ეკლესიამ განაცხადა, რომ მართალია, უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს, მაგრამ ეს უნდა იყოს ხალხის საერთო ნება და ეკლესიების შეთანხმების შედეგი. ეკლესიის დამოუკიდებლობამ უნდა მოუტანოს ქვეყანას ერთიანობა და მშვიდობა და ის არ უნდა გახდეს კამათის მიზეზი როგორც უკრაინაში, ისე მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში.

უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რეფორმების საკითხებში საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი, მიხეილ სააკაშვილი, მრჩევლად დანიშნა. ორივე ქვეყნის მთავრობებმა დაასკვნეს, რომ უკრაინასა და საქართველოს უბრალოდ არ აქვთ საშუალება არ ითანამშრომლონ. რა თქმა უნდა, საქართველოსა და უკრაინას თანამშრომლობის დიდი პოტენციალი აქვთ, პირველ რიგში, საერთო გეოპოლიტიკური პრობლემების გამო. ორივე ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრება.

ორ ქვეყანას შორის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის მიმოხილვამ აჩვენა, რომ კრიზისის გამოწვევა დაკავშირებულია მესამე ქვეყანასთან – რუსეთთან. ნათელია, რომ ორივე ქვეყნის მიერ გამოცხადებული პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გარდა, რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაცია და მათი შესაძლო გაწევრიანება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მთავარ ეროვნულ საფრთხედ აღიქმება. შესაბამისად, საპასუხოდ, რუსეთმა მიმართა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ექსპანსიური ინტერესები, და შესაბამისად შეიჭრა საქართველოში 2008 წელს, უკრაინაში 2014 და 2022 წლებში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსა და უკრაინას თანამშრომლობის უზარმაზარი პოტენციალი აქვთ, პირველ რიგში, საერთო პრობლემების გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებზე.

ორივე ქვეყნის დედაქალაქებმა უნდა გამოიყენონ ეს პოტენციალი, დაეყრდნონ წარსულის მიღწევებს და გადადგან ნაბიჯები ურთიერთობების გასაღრმავებლად. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს და უკრაინას მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები უკავიათ შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე – დასა-

ვლეთ და სამხრეთ ფლანგებზე. მათი სტრატეგიული პარტნიორობა შეიძლება იყოს ალტერნატიული პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ძალისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება პუტინის ავტორიტარულ, რევანშისტურ რეჟიმს. მათი ალიანსი შეიძლება იყოს დემოკრატიული ცვლილებების მიზეზი მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. *Act of Independence of Georgia May 26, 1918*, available at http://www.archivesportaleurope.net/ead-display/-/ead/pl/aicode/GE-00000002568/type/fa/id/GE_NAG-CHA_Independence/unitid/GE_NAG-CHA_Independance+-+1.
2. *Act of Restoration of State Independence of Georgia*, available at https://matsne.gov.ge/en/document/view/32362?publication=0.
3. Dobbs, M. "*Soviet Georgian Republic Proclaims Independence*". Washington Post, available at https://www.washingtonpost.com/archive/politics/1991/04/10/soviet-georgian-republic-proclaims-independence/f0c3d67c-e38e-46f7-8a27-0991eab22080/.
4. *Georgia signs Association Agreement with the EU*, available at https://agenda.ge/en/news/2014/1551#gsc.tab=0.
5. Info Center. *Georgia and the European Union*, available at https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the -association-agreement/.
6. Kekelidze K., Baramidze A. (1969). History of Old Georgian Literature (V-XVIII centuries). Tbilisi.
7. KMU. *Association Agreement between the European Union and Ukraine*, available at www.kmu.gov.ua/en/yevropejska-integraciya/ugoda-pro-asociacyu.
8. Liklikadze, K., "*Why the Ukrainian organization "Una-Unso" fought for the territorial integrity of Georgia*", available at http://georoyal.ge/?MTID=4&TID=3&id=2437&fb_comment_id=1415953928648171_111566.
9. Ministry of foreign affairs of Georgia. *Information on the signing of the Strategic Partnership Charter between Georgia and the United States*, available at https://mfa.gov.ge/News/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%.